



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N141/13¹

გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თომა ჯაჯანიძე (სტუდენტი)

ფაქტები

რ. ს. – მ (შემდგომში ადვოკატმა) მისი კლიენტის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შეფარდების შემდეგ მიცემულ ინტერვიუში საქმის განმხილველი მოსამართლე მოიხსენია შემდეგი უშვერი სიტყვებით: „ნაძირლები არიან, ყველა ერთად, პროკურატურაც, სასამართლოც და ყველა ერთად. შეკრულები არიან და ნაძირლები. დამფრთხალი და ჩმორი მოსამართლე გამოვიდა, სუნი ჰქონდა რომ გამოვიდა, სუნი იყო, ყარდა, ახლოს ვიჯექი“.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ს. ს. – მ (შემდგომში საჩივრის ავტორი) და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დევნა დაიწყო შემდეგი მუხლების სავარაუდო დარღვევის საფუძველზე: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქვევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

ეთიკის კომისიისათვის მნიშვნელოვანია ადვოკატის სამართლიანი და ადექვატური დამოკიდებულება მისსავე ქცევასთან. ეთიკის კომისიის მიზანი არა მხოლოდ არაპროფესიული ქცევის პრევენცია და ადვოკატთათვის სახდელის დადება ან მათზე ზემოქმედებაა, არამედ მათთვის პრევენციის არსისა და მიზნის გაგება. მნიშვნელოვანია ადვოკატმა გაიგოს თუ რატომ მოხდა მისი დისციპლინირება და იცოდეს თუ სად გადის ზღვარი კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის განცხადებები ძირითადად მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე კეთდება. „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c471f401db2c.pdf/5c471f401db2c.pdf>

ადვოკატის მიერ ინტერვიუს მიცემისას ნათქვამი სიტყვები არის შეურაცხმყოფელი სასამართლოსადმი, როგორც ინსტიტუციისადმი, ასევე კონკრეტული მოსამართლის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენელი პირის მიმართ.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მხრიდან დარღვეულად მიიჩნია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.